ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №669570

ნომერი: AR1128746

თარიღი : 30.04.2013

გაცემის თარიღი : 01.05.2013

გაცნობის თარიღი : 01.05.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი აკაკი წერეთელი , N 74 , კორპუსი N6 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ბარნაბიშვილი პ/ნ 01009010768
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. V კვ. კორ. 2 ბ. 35

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი კორექტირება
- აბრებისა და რეკლამების განთავსება კორექტირება

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე ფასადზე I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების და ინტერიერში მზიდი კედლის რეკონსტრუქციის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – დიდუბე, აკაკი წერეთლის გამზირი #74, კორპუსი #6, კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე შ.პ.ს. "კრისტალი"-ს კუთვნილი ფართის ფასადზე I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებას და ინტერიერში მზიდი კედლის რეკონსტრუქციას, პასუხად გაცნობებთ, რომ “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლში საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 აგვისტოს #315 დადგენილებით შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან #882013143131 08.04.13წ. საკადასტრო კოდი #01.13.05.007.005.01.506; კონსტრუქციული დასკვნა 10.04.13წ.; იჯარის ხელშეკრულება; შ.პ.ს. "კრისტალი"-ს დირექტორის თანხმობა; მოქ. ქრისტინე მამამთავრიშვილის და მოქ. თამაზ მეფარიძის თანხმობები; არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული #644196 16.04.13წ. გადაწყვეტილება; საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – დიდუბე, აკაკი წერეთლის გამზირი #74, კორპუსი #6, კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე შ.პ.ს. "კრისტალი"-ს კუთვნილი ფართის ფასადზე I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების და ინტერიერში მზიდი კედლის რეკონსტრუქციის შესაძლებლობას.

ინტერიერში მზიდი კედლის რეკონსტრუქცია განხორციელდეს შ.პ.ს. "ედრი+"-ის გაცემული კონსტრუქციული დასკვნის შესაბამისად.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.